

თეზისების შედგენისა და გაფორმების წესი

თეზისების გაფორმება:

- მოხსენების თეზისები უნდა შეიცავდეს არაუმეტეს 500 სიტყვისა;
- თეზისები უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ექვსი აზრისგან და აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამავე დოკუმენტში ჩამოთვლილ კომპონენტებს (იხ. თეზისების თეზისების წესები);
- შრიფტი: Sylfaen;
- შრიფტის ზომა: 12;
- სტრიქონებს შორის მანძილი: 1.5 სმ;
- სათაური: ცენტრში, შრიფტის ზომა: 16, Bold (მუქი შრიფტით)
- ავტორის სახელი, გვარი, დაწესებულება - ცენტრში, შრიფტის ზომა 14;
- ველები: მარჯვენა ველი - 2.5 სმ, მარცხენა ველი - 2.5 სმ, ზედა ველი - 2.5 სმ, ქვედა ველი - 2.5;

თეზისების შედგენა:

თეზისების უნდა მოიცავდეს ხუთ შემადგენელ ნაწილს. თითოეული კომპონენტი შეფასდება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთიანად.

- **საკვლევი თემა** (მოხსენებაში გასაშლელი საკითხის მოკლე აღწერა).
- **აქტუალობა** (რატომ არის წარმოდგენილი კვლევა აქტუალური).
- **პრობლემა** (რა ტიპის სამეცნიერო პრობლემაა დასმული სტატიაში).
- **მეთოდი** (სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად წარმოდგენილი კვლევის მეთოდები).
- **დასკვნა** (პრობლემის, აქტუალობის, გადაჭრის მეთოდების შეჯამება და კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატების გამოყენების სფეროს მითითება).

რეკომენდაციები:

სასურველია თეზისებში იყოს გამოყენებული კოდური სიტყვები, კვლევის მიმართულების უფრო ნათლად წარმოჩენისათვის.

სასურველია თეზისებისა და შემდეგში დასრულებული სტატიის შემადგენლობა თანმიმდევრულად ემთხვეოდეს ერთმანეთს: საკვლევი თემა - აქტუალობა - პრობლემა - მეთოდი - დასკვნა.

თეზისების შეფასების კრიტერიუმები:

- **თემატიკა:** რამდენად ემთხვევა თეზისებში გაშლილი თემა კონფერენციის ძირითადი მიმართულებებიდან ერთ-ერთს, ან რამდენიმეს.
- **პრეზენტაცია:** რამდენად არის დაცული „თეზისების შედგენის წესი“.
- **შინაარსის ხარისხი:** რამდენად შეესაბამება სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად წარმოდგენილი კვლევის მეთოდები მიღებულ შედეგებს.
- **ორიგინალობა:** რამდენად წარმოადგენს კვლევაში დასმული პრობლემა და მისი გადაწყვეტის მეთოდები სამეცნიერო სიახლეს.